# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

25 აგვისტო, შაბათი, 1990 წ. № 160 (10 329) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა

## ორი დღე, მედლების სრული კომპლექტი

უკვე გაცნობეთ, რომ ძიუდოისტთა ასპარეზობის პირველ დღეს გოგოებს შორის 42 კგ წონით კატეგორიაში თბილისელმა თეა ჩანტლაძემ (ასკ, მწვრთნელები თამაზ კარიაული, მურად მწარიაშვილი) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ⵙ✦ⵙ✦ⵙ

**გუშინ...**

კიდევ სამი მედალი მოიპოვეს ჩვენმა ძიუდოისტებმა: 65 კგ წონით კატეგორიაში „ქართული ფინალი" გაიმართა — ჟრთმანეთის პირისპირ წარდგნენ თბილისელი ალექსანდრე ღვინიაშვილი და ახმეტელი მამუკა ლუზარაული. გაიმარჯვა ღვინიაშვილმა. გოგოებს შორის ოქროს მედალი მოიპოვა გორელმა ნანი მირუაშვილმა (61 კგ).



ნანი მირუაშვილი

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ „სუსტი სქესის" წარმომადგენელთა შორის სპორტის ეს სახეობა სულ უფრო პოპულარული ხდება და ქალთა ძიუდო უკვე ბევრ რეგიონშია დანერგილი.

თეამ, ერთადერთი მარცხის შემდეგ, კარგად გამოიყენა ბრინჯაოს მედლის მოპოვების შესაძლებლობა. დამაჯერებლად ჩაატარა დანარჩენი შეხვედრები და პირველი ჯილდო შესძინა გუნდს.

ჭაბუკთა შორის 53 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა ქუთაისელი ალექსანდრე წიქორიძე („შევარდენი", მწვრთნელები — იური ჯოჯუა, ვეფხია ბალხამიშვილი). მან წინასწარ შეხვედრებში ყველა მეტოქე აშკარა უპირატესობით დაამარცხა. ამ გარემოებამ მას, როგორც ჩანს, დათვური სამსახური გაუწია, რაც ფინალური შეხვედრის დროს გამოჩნდა. გამარჯვებით ფრთაშესხმული ახალგაზრდა მოჭიდავე მეტისმეტად თავდაჯერე-



ამირან აბრამიშვილი



გიორგი ვაჩაგაშვილი



ალექსანდრე ღვინიაშვილი

## ქეთევან არახამია: ბოლო ორ ტურში ორიდან—ორი

**პოდოლსკი.** მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატში ლიდერობას უმთავრესად ერთმანეთს ეცილებიან საერთაშორისო დიდოსტატები ქეთევან არახამია (თბილისი) და ზოია პოპოვა (ლუგანსკი). როგორც ვიუწყებოდით, 10 ტურის შემდეგ წინ პოპოვა იყო (8 ქულა), რომელსაც ქართველი მოჭადრაკე სულ 0,5 ქულით ჩამორჩებოდა.

მეთერთმეტე ტურის ცენტრალური შეხვედრა გახლდათ არახამია — პოპოვას ორთაბრძოლა, რომელშიც თბილისელი დიდოსტატი თეთრებით თამაშობდა. ეს შეხვედრა არახამიამ მოიგო და, ცხადია, დაწინაურდა. ამ ტურის სხვა ორთაბრძოლები დამთავრდა ასე: ერნესტე — სტეპოვაია 1:0, პრუდნიკოვა — ბორულია 0:1, ჯანჯღავა — ჩიოლუშკინა 0:1, მატვეევა — უმანსკაია 0:1, პუტკოვა — შუმიაკინა 0,5:0,5, ფურინა — ბორსუკი 0,5:0,5, ტაჯიევა — დიომინა 0,5:0,5, ციგანოვა — სემიონოვა 0,5:0,5.

მეთორმეტე ტურში არახამიამ მორიგი გამარჯვება მოიპოვა, ამჯერად — შავი ფიგურებით, ბორულიასთან. დანარჩენ შეხვედრათა შედეგები: ჩიოლუშკინა — მატვეევა 1:0, სტეპოვაია — ფურინა 1:0, პუტკოვა — პრუდნიკოვა 0:1, შუმიაკინა — სემიონოვა 0,5:0,5, უმანსკაია — ციგანოვა 0,5:0,5, პოპოვა — ერნესტე 0,5:0,5, დიომინა — ჯანჯღავასა და ბორსუკ — ტაჯიევას პარტიები გადაიდო.

თორმეტი ტურის შემდეგ ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: ქეთევან არახამია (თბილისი) — 9,5 ქულა, ზოია პოპოვა (ლუგანსკი) — 8,5, ინგუნა ერნესტე (რიგა) და ტატიანა შუმიაკინა (ჩელიაბინსკი) — 8-8 ქულა თითოეულს, ირინა უმანსკაია (მოსკოვი) — 7, სვეტლანა პრუდნიკოვა (მოსკოვი) — 6,5, იულია დიომინა (ნოვოსიბირსკი) — 6 (1 გადადებული პარტია), ირინა ჩიოლუშკინა (ლვოვი) — 6.

ჩემპიონატის დამთავრებამდე 5 ტური დარჩა.

◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆

## სეოკ-ის აღმასკომის სხდომაზე

**გაიმართა** სეოკ-ის აღმასკომის მორიგი ორი სხდომა. ორივე სხდომაზე ერთ-ერთი მთავარი თემა იყო საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სესიისათვის მზადების საკითხი. აღინიშნა, რომ სეოკ-ის სესია განიხილავს ერთი წლის მუშაობის შედეგებს და შეიტანს ცვლილებებს სეოკ-ის შემადგენლობაში. აღმასკომის გადაწყვეტილებით, რესპუბლიკურ სპორტულ ფედერაციებში, სადაც ჯერ კიდევ არ აურჩევიათ ახალი ხელმძღვანელობა, მიმდინარე წლის 15 ოქტომბრამდე უნდა დამთავრდეს არჩევნები. ეს განცხადება აღმასკომის თხოვნით ქვეყნდება და წერილობითი გაფრთხილება ფედერაციებს არ დაეგზავნებათ.

ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურმა საბჭომ, როგორც ცნობილია, სურვილი გამოთქვა სეოკ-ს გადასცეს კარსანის (მცხეთის რაიონი) რამდენიმე ჰექტარი ტერიტორია, სადაც 700 ათასი მანეთის სამუშაოები უკვე ჩატარებულია. ორმხრივი შეთანხმებით, საორგანიზაციო საკითხები უახლოეს დღეებში მოგვარდება.

განიხილეს წინადადება, 1991 წელს ჩატარდეს შავი ზღვის აუზის ქვეყნების თამაშები. აღმასკომი ახლო მომავალში ამ საკითხს კვლავ დაუბრუნდება, შემუშავდება კონკრეტული წინადადებები. მისი გადაწყვეტილებით კონკრეტული ღონისძიებები დაისახება აგრეთვე სპორტის ეროვნულ სახეობებში და ხალხურ თამაშებში სრულიად საქართველოს ფესტივალის ჩასატარებლად.

## არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ძალმომრეობასთან გვაქვს საქმე

**გუშინწინ** საღამოს, 19 საათსა და 55 წუთზე, დიდ დიღომში, პეტრიწის ქ. № 15 სახლთან, ქუთაისიდან მომავალი ფილაქნებით დატვირთული ავტომანქანა გაჩერდა. მცხოვრებლებს ეგონათ, რომ „ლელოს" გასული კვირის ნომერში დაბეჭდილი წერილის საპასუხოდ ასე ოპერატიულად იწყებდნენ მოსახლეობისთვის ამ კორპუსის I სართულზე ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მოწყობას. გაირკვა, რომ პუბლიკაციამ გაჭრა, მაგრამ არა ისე, როგორც მოველოდით — თურმე, აქაოდა, მოსახლეობა მართლა არ დაეპატრონოს დიდი ხნის წინათ გამოკეტილ სათავსოს, მას სასწრაფოდ გამოუჩნდა სხვა პატრონი. ვინ? ჩვენ არ ვიცით, გვიპასუხეს დაუპატიჟებელმა სტუმრებმა.

21 საათი და 15 წუთი. მძღოლი მუშებს ელოდა, ისინიც მოვიდნენ და მანქანის გადმოცლას შეუდგნენ. საქმეს მალე მორჩნენ, სათავსი გამოკეტეს და წავიდნენ.

გუშინ, დილის 9 საათზე, მსუბუქი ავტომანქანა მოადგა შენობას. სამმა კაცმა დაათვალიერა და კმაყოფილმა დატოვა იქაურობა.

10 საათი და 45 წუთი. რედაქციიდან ვრეკავთ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანთან და საქალაქო საბჭოს აღმასკომის პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან ნიკოლოზ ლეკიშვილთან. მიღებას ვთხოვთ. — მობრძანდით, როცა გნებოთ, — თავაზიანად გვიპასუხა ბატონმა ნიკოლოზმა.

14 საათი და 30 წუთი. ნ. ლეკიშვილმა ყურადღებით მოგვისმინა. მან მოიწონა წინადადება, რომ მართლაც დროა თბილისში შეიქმნას სამაგალითო ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კლუბი. გავაცანით გეგმები, ვუთხარით, რომ „ლელოსთან" შექმნილია საორგანიზაციო კომიტეტი მოსახლეობას შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ახალი სისტემის შესაქმნელად. პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამის შესახებ იცოდა, პეტრიწის ქუჩაზე სადავო სათავსის საკითხის გარკვევაც დაუყოვნებლივ დაპირა, მაგრამ საქალაქო საბჭოს აღმასკომის ერთი ხელმძღვანელი, ვისაც ამ საკითხების მოგვარება ევალება, იმ წუთებში ადგილზე არ აღმოჩნდა. საქმეში გარკვევისა და თანადგომის პირობით დამთავრდა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტში ეს შეხვედრა.

ეჭვიც არ გვეპარება, რომ ყველაფერი გაირკვევა. არც ის გვეეჭვება, რომ ქალაქის ხელმძღვანელობა მხარში ამოგვიდგება და ბოლოს და ბოლოს თბილისში შევქმნით ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ კლუბს, რომლის მუშაობასაც სამაგალითოდ გაიხდის მთელი რესპუბლიკა.

და კიდევ ერთი: ის, ვისაც არ უნდა ყური მოუგდოს მოსახლეობის ხმას (განცხადება დიდი ხანია შეტანილია პეტრიწის № 15 სახლის IV სადარბაზოს არასაცხოვრებელი ფართობის მოსახლეობისათვის გადასაცემად), ათას გზას და ხერხს გამონახავს თავის გასამართლებლად. მაგრამ აქვე გვინდა ვიკითხოთ: განა რა იხსნება იმ სათავსში ისეთი, რომ მოსახლეობის ინტერესები და ხუსტი ჯანმრთელობის ბავშვების კეთილდღეობა მას ვანაცვალოთ?

ერის ჯანმრთელობა — საყოველთაო საზრუნავი!

## საორგანიზაციო კომიტეტი მუშაობას შეუდგა

**ერის** ჯანმრთელობა საფრთხეშია! ადამიანების ფიზიკური აქტივობა, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში, მინიმუმამდე შეიზღუდა. მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის დღემდე შემორჩენილი სისტემა ვერ ამართლებს. სად არის გამოსავალი? ცხადია, დღის წესრიგში დგება ახალი გზების ძიებისა და ერთიანი, მწყობრი სისტემის შექმნის საკითხი.

„ლელოს" რედაქციამ გადაწყვიტა, ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში ორგანიზატორის ფუნქცია შეასრულოს. გახსოვთ, ალბათ, გასული კვირის ნომერში საზოგადოებას ვაუწყეთ, თუ რა დიდი საშიშროების წინაშე ვდგავართ და ვთხოვეთ ყველას, ვინც ამ პრობლემის გადაჭრით იყო დაინტერესებული, რედაქციაში გვწვეოდა ოთხშაბათს, 22 აგვისტოს, საგანგებოდ დანიშნულ თათბირზე. თათბირს დაესწრნენ: ნ. მესხი — საქართველოს სპორტსახკომის მასობრივი მუშაობის სამმართველოს უფროსი, მ. თარხნიშვილი — თბილისის სპორტკომიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის განყოფილების გამგე, მ. ეგაძე — სპორტსაზოგადოება „შევარდენის" საორგანიზაციო განყოფილების გამგე, თბილისის კრწანისის, დიდუბის, სამგორის და ოქტომბრის რაიონების სპორტკომიტეტების თავმჯდომარეები: ა. ავრიაშვილი, გ. გოგოლაძე, ი. ნემსიწვერიძე და ო. ჩხაიძე; კ. ადეიშვილი — თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე და გაზეთ „ლელოს" თანამშრომლები.

პირველი თათბირი მიეძღვნა საერთო ამოცანის განზოგადებას. შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი, რომელმაც, თავის მხრივ, შექმნა სარედაქციო ჯგუფი მოსახლეობას შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ახალი სისტემით წარმართვის დებულების პროექტის მოსამზადებლად.

საორგანიზაციო კომიტეტი ყოველ ოთხშაბათს, 15 საათზე შეიკრიბება „ლელოს" რედაქციაში.

დაინტერესებულ პირებს და ორგანიზაციებს კვლავ ვთხოვთ, მიიღონ მონაწილეობა საორგანიზაციო კომიტეტის მუშაობაში. ამასთან, „ლელოს" რედაქცია მიმართავს ყველას, ვისაც გულთან ახლოს მიაქვს ზემოაღნიშნული პრობლემა, წერილობითაც მოგვაწოდონ თავიანთი წინადადებები.

## სამართალმა პური ჭამა

**გასაგებია**, რომ მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონი ალექსანდრე მედვედი ჭიდაობის სამყაროში დიდი ავტორიტეტითა და პოპულარობით სარგებლობს. გასაგებია ისიც, რომ მისი ვაჟიშვილი მოჭიდავე გახდა და სახელოვანი მამის ზედამხედველობით ვარჯიშობს. გაუგებარია მხოლოდ, რატომ უნდა იყოს უმცროსი მედვედი უსათუოდ ქვეყნის ნაკრების პირველი ნომერი, როცა მასზე უფრო ძლიერი მოჭიდავეებიც არიან.

ერთი სიტყვით, მსოფლიო ჩემპიონატის წინ ნაკრების უფროსი მწვრთნელი ი. იარიგინი მძიმე წონის მოჭიდავეთა შორის უპირატესობას უმცროს მედვედს ანიჭებდა. ვითომ დავით გობეჯიშვილს არ ჰყავდა წლეულს დამარცხებული ამერიკელი ბრიუს ბაუმჰარტნერი და არა ჰქონდა მოგებული კეთილი ნების თამაშები. უფროსი მწვრთნელის სიტყვა მუდამ საბოლოოა, მაგრამ სიეტლის შემდეგ (იქ, როგორც ცნობილია, აშშ-ის გუნდმა დაამარცხა საბჭოთა ნაკრები) იარიგინს ოპონენტები გაუჩნდნენ და მწვრთნელთა საბჭომაც გობეჯიშვილსა და მედვედს შორის საკონტროლო შეხვედრის ჩატარება დაიჩემა. ამ ბრძოლას, როგორც ჩანს, პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებდა საკავშირო სპორტსახკომიც, ვინაიდან შეკრების ადგილზე (კისლოვოდსკში) მოსკოვიდან სპეციალურად ჩაფრინდა ამ ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე ანატოლი კოლესოვი.

საკონტროლო შეხვედრაში დაძაბულ და უშეღავათო ბრძოლას ელოდნენ, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა. დავით გობეჯიშვილმა გაიმარჯვა საკმაოდ ადვილად და დამაჯერებლად — 6:0 (ოთხჯერ თითო ქულა აართვა მეტოქეს ჩოქბჯენში გადაყვანისთვის და ერთხელაც „გადააბრუნა" იგი). სხვათა შორის, წვრთნის პროცესში დათო თითქმის ყველა მძიმე წონის მოჭიდავეს შეხვდა და ქულა რაა, ისიც არავისთვის დაუთმია. ამ გამარჯვების შემდეგ გობეჯიშვილის ბედი საბოლოოდ გაირკვა. იგი გაემგზავრება მსოფლიო ჩემპიონატზე. იაპონიაში საბჭოთა ნაკრების ღირსებას გობეჯიშვილის გარდა კიდევ ორი თბილისელი მოჭიდავე დაიცავს: ავთანდილ გოგოლიშვილი (82 კგ) და ლერი ხაბელოვი (100 კგ).

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა

# ორი დღე, მედლების სრული კომპლექტი

(დასასრული)

ბული მოქმედებდა ტატამზე, ვერ შეაფასა მეტოქის ძალები და თავისსავე წამოწყებულ იერიშზე „დაიჭირა“ მეტოქემ. საბოლოოდ, ალექსანდრე წიქორიძე ვერცხლის მედლით დაკმაყოფილდა.

ტურნირის მეორე დღე განსაკუთრებულად საინტერესო გახლდათ, როგორც სანახაობრივი, ასევე წმინდა სპორტული თვალსაზრისით, უძლიერესის სახელისათვის ჭაბუკთა შორის ორი ჩვენი მოჭიდავე იბრძოდა. 57 კგ წონით კატეგორიაში ახმეტელმა ამირან აბრამიშვილმა („მართვე“, მწვრთნელები — ტარიელ და ზეზვა შათირიშვილები) საუკეთესოდ დაიწყო ასპარეზობა — ოთხ შეხვედრაში წმინდა გამარჯვებები მოიპოვა! განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი წარმატება ყაზახეთის გუნდის წევრთან — ი. რასულოვთან. მაყურებელმა, რომ იტყვიან, თვალის დახამხამება ვერ მოასწრო, რომ ამირანმა ულამაზესი ილეთით ძირს დასცა მეტოქე. ეს მოხდა სულ რაღაც ხუთ (!) წამში. ფინალში ამირანის მეტოქე იყო ვ. კრიუჩკოვი, საკმაოდ ძლიერი მოჭიდავე, მაგრამ ვერც ის გადაურჩა „იპონს“.

ამირან აბრამიშვილს არც გორელი გიორგი ვაზაგაშვილი („შევარდენი“, მწრთნელი იოსებ ფუხაშვილი) ჩამორჩა. გიორგის უკვე აქვს წარმატებები საკავშირო სარბიელზე. აქაც ზედიზედ ოთხჯერ წმინდა გამარჯვება იზეიმა. ალბათ, ბევრს დაამახსოვრდებოდა მისი ფინალური ბრძოლა უზბეკეთის გუნდის წევრ ი. მოროზოვთან. გიორგიმ ჯერ „ვაზარი“ დაიმსახურა, შემდეგ



მამუკა ლუზურაული

მას „კოკა“ დაამატა, შეხვედრის დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე მის მიერ შესრულებული ილეთი კი უყოყმანოდ „იპონით“ შეაფასეს მსაჯებმა.

წარმატებისთვის ცოტა იღბალიც არის საჭირო, ხშირად გვსმენია. ჭაბუკების მსგავსად, ჩვენი გუნდიდან ამ დღეს ორი მოჭიდავე გოგო ასპარეზობდა — ქეთინო ნატროშვილი (48 კგ) და ნინო ჩორგოლაშვილი (52 კგ).

სამწუხაროდ, შეჯიბრება მათთვის უიღბლოდ წარიმართა და ორივე საპრიზო ადგილების მიღმა დარჩა, თუმცა გუნდს ჩასათვლელი ქულები შესძინეს.

**გია ბურდული**

# ჩემპიონები ვადამდე იმარჯვებენ

**საქართველოს** ჭაბუკმა მოკრივეებმა შესანიშნავად აუბეს მხარი თანამემამულეებს, რომლებიც წარმატებით გამოდიან მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე. კერძოდ, მათ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთა სასპარტაკიადო მონაგარს 3 ოქროს, 2 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი შემატეს.

მოსკოვის „ჩერტანოვის“ სპორტკომპლექსის რინგზე უძლიერესის სახელი 66 კგ წონით კატეგორიაში მოიპოვა ჭიათურელმა თენგიზ ჯაოშვილმა (მწვრთნელი თ. ლორთქიფანიძე), რომელმაც ოთხივე ბრძოლა ქულებით მოიგო. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურამდე სხვაგვარად განვლო გზა მისმა თანაგუნდელმა ვადიმ ქოქოევმა. უნდა ითქვას, რომ 74 კგ წონაში, სადაც ცხინვალელი სპორსტმენი გამოდიოდა, საკმაოდ ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი — აქ სპორტის ოსტატებიც ასპარეზობდნენ. ვ. ქოქოევმა დიდი აღმავლობით ჩაატარა ოთხივე შეხვედრა. მათგან სამი — აშკარა უპირატესობით, პირველსავე რაუნდში მოიგო (მას მამა — ჯამბულ ქოქოევი წვრთნის). ჩვენი „ოქროს სამეულის“ მესამე წევრია ცხინვალელი იგორ ძაგოევი (74 კგ, მწვრთნელი ვ. სლანოვი), რომელმაც სამი ბრძოლა, მათ შორის ფინალიც, ვადაზე ადრე დაამთავრა, ერთში კი ქულებით გაიმარჯვა, მეორე საპრიზო ადგილები დაიკავეს ხობელმა გოჩა რუსიამ (52 კგ) და ქუთაისელმა თემურ გოლეთიანმა. მესამე ადგილზე გავიდნენ გორელები: დ. ავაზნელი (66 კგ) და დ. ჯანაშვილი (79 კგ), აგრეთვე, თბილისელი გ. მელქონიანი (48 კგ).

გუნდური მესამე ადგილი მოიპოვა საქართველოს ნაკრებმა, რომელიც მოამზადეს საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელებმა — დ. შიუკაშვილმა, რ. კვაჭაძემ, აგრეთვე, თ. პატარიძემ, ვ. ბორტნიკოვმა, ტ. ვერულაშვილმა.

პირველ ადგილზე არიან უკრაინის, მეორეზე — რსფსრ-ის მოკრივეები.

# „მწვერვალამდე“ ნაბიჯიღა დარჩა

**ყაზახეთის** ნაკრებთან მეორე მეოთხედფინალურ შეხვედრამდე ჩვენმა წყალბურთელებმა 3 მატჩი მოიგეს. აღსანიშნავია, რომ ისინი არასდროს ყოფილან „მდევართა“ როლში — პირველი გოლი ყოველთვის მათ გაჰქონდათ და ყოველი მატჩი ქართველი წყალბურთელების უპირატესობით მიმდინარეობდა.

არც ამჯერად დარღვეულა ტრადიცია. წყლბურთელები ჯერ გვარიანად „გახურებულნი“ არ იყვნენ, რომ გოგიშვილმა პირველსავე წამებზე ჰილო მეტოქის კარი. სტუმრებმა მალე გაათანაბრეს ანგარიში — 1:1. ჩვენებმა კვლავ შეუტიეს და მალე კლდიაშვილმა ორამდე გაზარდა ანგარიში. შემდეგ ლაითაძემ აიძულა ყაზახეთის მეკარე კარიდან გამოეტანა შორიდან უძლიერესად ნატყორცნი ბურთი. გვარამაძემ, გოგიშვილმა და ჩივაძემ კიდევ სამი ბურთი შეაგდეს მეტოქის კარში, რომელმაც მხოლოდ ორი გოლის გაქვითვა შეძლო — 6:3. ასე დამთავრდა პირველი პერიოდი, 6 წუთში გატანილი 9 გოლი, ცოტა არ იყოს, უჩვეულოა წყალბურთისათვის!

მომდევნო პერიოდში ჯერ კონოვმა და გვარამაძემ „გაცვალეს“ გოლები, შემდეგ იმავე კონოვმა გაიტანა ბურთი. მეორე პერიოდის შემდეგ საქართველოს ნაკრები წინ იყო ორი ბურთით — 7:5, თუმცა ეს ექვს წუთეული სტუმრებმა მოიგეს (2:1). მესამე პერიოდში ქართველმა სპორტსმენებმა დათმეს ინიციატივა. პირველი გოლი გვასალიამ გაიტანა, მაგრამ დრაჩოვმა და კალონცევმა მას ორი ბურთით უპასუხეს. (ამ დროს ყაზახებს რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდათ, 35 წამით გაძევებული იყო კლდიაშვილი). ჩვენები ნერვიულობდნენ, არაერთი ხელსაყრელი მომენტი დაკარგეს, შეცდომას შეცდომაზე უშვებდნენ. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ სტუმრებმა შეძლეს თამაში გარდატეხის შეტანა. ამასობაში დამთავრდა მესამე პერიოდიც (8:7). 6-წუთიან ბრძოლაში ერთბურთიანი უპირატესობა მაინცდამაინც დიდი შეღავათი არ იყო, საჭირო იყო გოლი, რომელიც ჩვენს წყალბურთელებს დაუბრუნებდა საკუთარი ძალების რწმენას. და ეს გოლიც მალე გავიდა: ჩივაძემ და გოგიშვილმა ორი ლამაზი მეტად საჭირო ბურთი გაიტანეს, შემდეგ გეგენავამ (4-მეტრიანით) და დუგლაძემ (ჩივაძის ულამაზესი გარღვევის შემდეგ ანგარიში კიდევ უფრო წინ წასწიეს ჩვენებმა, ამასობაში მაკიდონმა ერთი ბურთის გატანა შეძლო ასათიანის კარში, რომელმაც მშვენივრად ითამაშა ამ დღეს. სტუმრები ბევრს ეცადნენ, შეემცირებინათ სხვაობა ანგარიშში, მაგრამ ჩვენი მცველების (გოგიშვილი, ლაითიძე, ამბოკაძე), უშეცდომო თამაშის წყალობით ისღა მოახერხეს, მხოლოდ ერთი გოლი გაეტანათ (მაკიდონი) — 12:9, ასე დამთავრდა ეს მეტად საინტერესო, უშეღავათო ორთაბრძოლა.

ამ გამარჯვებით საქართველოს ნაკრებმა მოიპოვა ნახევარფინალში ბრძოლის უფლება. ამ ეტაპზე მეტოქეები ასე დაწყვილდნენ: საქართველო — უკრაინა, მოსკოვი-ყაზახეთი.

## გუშინ...

**საქართველოს ნაკრებმა დაამარცხა უკრაინის გუნდი — 18:7 და გავიდა ფინალში, სადაც მისი მეტოქე იქნება მოსკოვის ნაკრები, რომელმაც ყაზახ წყალბურთელებს სძლია — 7:4. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: უზბეკეთი — ბელორუსია — 8:9, ლენინგრადი — თურქმენეთი — 6:8, მოლდოვა — ტაჯიკეთი — 8:9, სომხეთი — აზერბაიჯანი — 9:8.**

# ქულამ გადაწყვიტა

**უზბეკეთის** გუნდი ჩვენი მთავარი მეტოქე რომ არ იყო, ეს თავიდანვე ცხადყო სპარტაკიადის პროგრამით უკრაინის ქალაქ უჟგოროდში გამართულმა ჩოგბურთელთა ტურნირმა. ახალგაზრდა ქართველმა ჩოგბურთელებმა აშკარა უპირატესობით — 8:0 დაამარცხეს შუააზიელი მეტოქეები.

რა თქმა უნდა, საკმაოდ ძლიერი იყო მოსკოვის ნაკრები. ჩვენი სპორტსმენების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ამჯერადაც აღმავლობით ითამაშეს და გაიმარჯვეს — 6:3.

ამ გამარჯვებების შემდეგ ჩვენს სპორტსმენებს ფინალური მატჩი ელოდათ მასპინძელთა ნაკრებთან — უკრაინელ ჩოგბურთელებთან. მეტად დაძაბული პაექრობა ერთი ქულის სხვაობით უკრაინელებმა მოიგეს — 6:5.

ამრიგად, საქართველოს ნაკრები (უფროსი მწვრთნელი დავით ნოზაძე) 16 გუნდს შორის საპატიო მეორე ადგილზე გავიდა, აი, ჩვენი გუნდის შემადგენლობა: დავით ოძელაშვილი, მიხაილ მღებროვი, იოსებ სიამაშვილი, მაია აბაშიძე, ირინე ბახტაძე, ნინო ლუარსაბიშვილი, ალა გასპარიანი.

# დღეს და... ექვსი წლის წინათ

**მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადების ღირსებათა შორის ერთ-ერთი უმთავრესი გახლავთ ის, რომ დიდი სპორტისაკენ მიმავალ გზას ულოცავს ნორჩ თაობას. ვინ მოთვლის, რამდენი ახალი სახელი გააცნო სპორტულ სამყაროს ამ სპარტაკიადებმა? თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბევრმა გამოჩენილმა ათლეტმა პირველი ნაბიჯები სწორედ ბავშვთა სპორტში გადადგა და აქ მიღებული ჩვევები დაედო საფუძვლად მათ შემდგომ დაოსტატებას.**

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადების მრავალწლიანი ისტორია სათავეს იღებს 1954 წლიდან, როცა ლენინგრადში პირველი, ასე ვთქვათ, დამფუძნებელი შეჯიბრება მოეწყო. მას შემდეგ ნორჩი თაობის შესაძლებლობათა შემოწმება კიდევ ჩვიდმეტჯერ ჩატარდა. ბოლო საკავშირო სპარტაკიადას 1984 წელს ტაშკენტმა უმასპინძლა.

მოსწავლეთა წლევანდელი სპარტაკიადა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ტარდება (თბილისი, მინსკი, გროდნო, ალმა-ათა, მოსკოვი, სვერდლოვსკი, სარატოვი და ა. შ.). ბევრ სახეობაში შეჯიბრება უკვე დამთავრდა, ზოგიერთში კი გრძელდება. სპარტაკიადის პროგრამაში შემავალ სახეობებში ასპარეზობები მთლიანად სექტემბრის დამდეგს ამოიწურება.

როგორ გამოდიან მოსწავლე სპორტსმენთა ამ ფორუმში საქართველოს წარმომადგენლები? ამ და სპარტაკიადასთან დაკავშირებულ ბევრ სხვა საინტერესო საკითხზე ობიექტურ პასუხს ალბათ მიმდინარე და ბოლო სპარტაკიადების შედეგთა შედარება მოგვცემს. ჩვენ ამგვარად პროგრამის ყველა სახეობას გავაანალიზებთ, დღეს კი გთავაზობთ იმ ექვსი სახეობის შედარებით მონაცემებს, რომლებიც სპარტაკიადის მსაჯთა მთავარმა კოლეგიამ საბოლოოდ დაამტკიცა.

**თავისუფალი ჭიდაობა.** სპარტაკიადების პროგრამაში სპორტის ეს სახეობა 1967 წელს შეიტანეს. მას შემდეგ ჩატარდა რვა ტურნირი. საქართველოს ათლეტები საპრიზო ადგილებზე ქვემოთ არც ერთხელ არ ჩამოსულან. ისინი ორჯერ გამარჯვებულთა შორის იყვნენ (1981 და 1990 წ.წ), ოთხჯერ — მეორე და ორჯერ — მესამე ადგილებზე.

1984 წლის სპარტაკიადაზე საქართველოს მოჭიდავეებმა გუნდური მეორე ადგილი დაიკავეს (238 ქულა) რუსეთის ფედერაციის ნაკრების შემდეგ (268 ქულა). პირად ჩათვლაში ჩვენმა მოჭიდავეებმა ოთხი ოქროს მედალი (დავით ხურცია, არსენ მაისურაძე, ლევან ებანოიძე, სოლომონ აბაშვილი) და ვერთი ვერცხლის (კობა ლოჩოშვილი) ჯილდო დაისაკუთრეს.

1990 წელს საქართველოს ნაკრები პირველ გუნდურ ადგილზე გავიდა. დიდი წარმატებით იასპარეზეს ჩვენმა მოჭიდავეებმა პირად ტურნირშიც, სადაც ექვსი ოქროს მედალი (მალხაზ მხეიძე, დავით პოლოსიანი, გოგიტა ხაბელაშვილი, ალექსანდრე კახნიაშვილი, ლუკა კოხია და ზურაბ ლოლაშვილი), ერთი ვერცხლის (გიორგი ტორჩინავა) და ერთი ბრინჯაოს (კახაბერ შოშიტაშვილი) ჯილდო მოიპოვეს.

ბოლო ორი სპარტაკიადის შედეგების შედარება ასეთ სურათს გვაძლევს („გ“ — გუნდური ადგილი, „ო“ — ოქრო, „ვ“ ვერცხლი, „ბ“ — ბრინჯაო):

| | გ. | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|---|
| 1984 წ. | 2 | 4 | 1 | — |
| 1990 წ. | 1 | 6 | 1 | 1 |

**კლასიკური ჭიდაობა.** ეს სახეობაც სპარტაკიადების პროგრამაში 1967 წლიდანაა შეტანილი. საქართველოს გუნდი ორჯერ (1984 და 1990 წწ) იყო პირველი და ორჯერაც (1967 და 1974 წწ) —მესამე. ყველაზე სუსტად ჩვენი კლასიკოსები გამოვიდნენ 1981 წელს მოსწავლეთა XVI სპარტაკიადაზე, სადაც მეშვიდე ადგილი დაიკავეს.

1984 წლის ტაშკენტის სპარტაკიადაზე საქართველოს ფალავნებმა ორ-ორი ოქროს (თენგიზ თედორაძე, გურამ შონია), ვერცხლისა (გიორგი მაკალათია, დავით სანოძე) და ბრინჯაოს (ავთანდილ ანდღულაძე, კობა ოჩიგავა) ჯილდო დაიმსახურეს.

1990 წლის სპარტაკიადა ქართველ კლასიკოსთა ბრწყინვალე გამარჯვებით აღინიშნა, ჩემპიონები გახდნენ დავით სირაძე და ლევან გაბუნია, მეორე ადგილები დაისაკუთრეს ჯამბულ ფუტკარაძემ, გიორგი ფრეწუაშვილმა, რომან აფციაურმა და კახაბერ მელაძემ, ბრინჯაოს მედლები კი მოიპოვეს მერაბ ნოზაძემ, გელა ლელაძემ, გელა გოიაევმა და კახაბერ აბულაძემ.

| | გ. | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|---|
| 1984 წ. | 1 | 2 | 2 | 2 |
| 1990 წ. | 1 | 2 | 4 | 4 |

**სამბო.** მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადების პროგრამაში ჭიდაობის ეს სახეობა წლეულს შეიტანეს და შესადარებელი აქ არაფერია. სამაგიეროდ, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ჭაბუკთა დებიუტი ბრწყინვალე გამოდგა. ოთხმა მოჭიდავემ ოქროს მედალი დაისაკუთრა (ვასილ ყორბეზაშვილი, მიხეილ აბაშიძე, ივანე არაბული და ნიკო ნიკოლაძე) და ოთხმაც ბრინჯაოსი (ბესიკ სინჯარაძე, გია კილასონია, თემურ ლატაური და ლევან ალფაიძე). ამ წრმატებამ საქართველოს ნაკრებს გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი მოუტანა.

სუსტად გამოვიდნენ სამბისტი გოგოები, მაგრამ ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, ვინაიდან ქალთა სამბო ჩვენში არ არის განვითარებული და პირველ ნაბიჯებს, ფაქტობრივად, ახლა დგამს. და მაინც, ორმა მათგანმა — ინგა ქარელიძემ და ირმა მელიქიშვილმა ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს. ეს ფაქტი ჩვენს გოგონათა ნიჭიერებაზე მიგვანიშნებს.

**ჭაბუკები**

| | გ. | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|---|
| 1990 წ. | 1 | 2 | — | 4 |

**გოგოები**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1990 წ. | 10 | — | — | 2 |

**ბატუტზე ხტომა.** ეს სახეობაც, შეიძლება ითქვას, სპარტაკიადების დებიუტანტია. მით უფრო საგულისხმოა და დასაფასებელი ჩვენი ბატუტისტების წლევანდელი წარმატება, რომლებმაც პირველი ადგილი მოიპოვეს გუნდურ ჩათვლაში და ექვსი მედალიც დაისაკუთრეს. სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ ინდივიდუალურ ხტომებში — რევაზ ხარატიშვილი, ჭაბუკთა წყვილებში — რევაზ ხარატიშვილი, გიორგი გოგუა და გოგონათა წყვილებში — ლელა გიგინეიშვილი, ირინა მიხაილოვა. ამათ გარდა ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს: ჭაბუკთა წყვილებში — რემიკ პოლოზიანმა, კახაბერ ქვლივიძემ, ინდივიდუალურ ხტომებში — ლელა გიგინეიშვილმა და გოგონათა წყვილებში — თამარ სუსუნიაშვილმა, ნინო არღანაშვილმა.

| | გ. | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|---|
| 1990 წ. | 1 | 3 | — | 3 |

**კალათბურთი (ჭაბუკები).** სპორტის ეს სახეობა პირველივე სპარტაკიადის პროგრამაში იყო შეტანილი და მას შემდეგ უცვლელად „მონაწილეობს“ მასში. ერთადერთი გამარჯვება საქართველოს გუნდს 1958 წლის ტურნირში აქვს მოპოვებული. ამას გარდა, ჩვენი სპორტსმენები ერთხელ ფლობდნენ II ადგილს (1965 წ) და ოთხჯერ (1954, 1955, 1967, 1972 წწ) — მესამეს.

წლევანდელ სპარტაკიადაში საქართველოს ჭაბუკებმა გაიმეორეს 32-წლის წინანდელი წარმატება და კვლავ პირველი ადგილი მოიპოვეს.

1984 წ. — XI ადგილი
1990 წ. — I ადგილი

**ხელბურთი.** სპარტაკიადების პროგრამაშია 1965 წლიდან. რვა ადრე ჩატარებულ ტურნირში საქართველოს ჭაბუკთა და გოგოების გუნდები არც ერთხელ არ ყოფილან პრიზიორთა შორის. ჭაბუკებს საუკეთესო შედეგი — V ადგილი ნაჩვენები აქვთ 1969 და 1972 წლებში, გოგოებს კი — IV ადგილი 1972 წელს.

წლევანდელ საკავშირო სპარტაკიადაში გოგოების გუნდმა I ადგილი დაიკავა, ჭაბუკებმა კი — II. წარმატება აშკარაა და მას ალბათ, კომენტარიც ვრცელი სჭირდება, თუმცა აქ ამჯერად მისი ადგილი არაა.

**გოგოები**

**1984 წ. — XVI ადგილი**
**1990 წ. — I ადგილი**

**ჭაბუკები**

**1984 წ. — XV ადგილი**
**1990 წ. — I ადგილი.**

# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ჯგუფი

**„სამგურალი" (წყალტუბო) — „ქუთაისი" (ქუთაისი) 1:3 (0:3)**

წყალტუბო. 26 მაისის სახელობის სტადიონი. 23 აგვისტო.

„სამგურალი": მიქაძე (ჭოლაძე), მუშკუდიანი, წიქარიშვილი, ხურციძე, ვ. ფეხტვენიძე, ხვიტია, ცნობილაძე (იონანიძე), კერესელიძე, გოგელიძე, ლ. ფეხტვენიძე, ხარაბაძე.

„ქუთაისი": ჩხეიძე, თევზაძე, თორლაშვილი, ბზიკაძე, შავგულიძე, ნადირაძე, შენგელია (ჯანაშია), მორგოშია (ფაიქიძე), ჯულელი, დარასელია, წიკლაური (დვალიშვილი).

მსაჯები: რ. გარნოვსკი (სამტრედია), გ. კალანდია (ზუგდიდი), ზ. ტეხოვი (წყალტუბო).
გააფრთხილეს: თევზაძე.

**თამაშის** ბედი, ფაქტობრივად, პირველ ტაიმში გადაწყდა — მეხუთე წუთზე საჯარიმო დარტყმიდან თორლაშვილმა გახსნა ანგარიში, მეცხრე წუთზე ქუთაისელთა კიდევ ერთი სწრაფი კომბინაცია მეორე გატანილი გოლით დააგვირგვინა წიკლაურმა. მე-15 წუთზე სახიფათო მდგომარეობა შეიქმნა ქუთაისელთა კართან, მაგრამ მცველებმა იმარჯვეს. 25-ე წუთზე კარგად ითამაშა „სამგურალის" ახალგაზრდა მეკარე ჭოლაძემ, რომელმაც მოიგერია თორლაშვილის ძლიერი დარტყმა. რამდენიმე წუთში კი გოლის გატანის შესაძლებლობა ვერ გამოიყენა გოგელიძემ. ამ ეპიზოდში კარგად ითამაშა სტუმართა მეკარე ჩხეიძემ. ტაიმის მიწურულს, 44-ე წუთზე, დარასელიამ შენიშნა კარიდან წინ გამოსული ჭოლაძე და თავს ზემოთ გადაუგდო ბურთი — 3:0.

მეორე ტაიმში წყალტუბოელებმა აქცენტი შეტევაზე გადაიტანეს და 47-ე წუთზე ხვიტიამ ანგარიშში სხვაობა შეამცირა — 1:3. დარჩენილ დროში ცვლილება ანგარიშში აღარ მომხდარა.

**ომარ ჟუჟუნაძე,**
„ლელოს" კორ.

**„შევარდენი-1906" (თბილისი) — „გურია" (ლანჩხუთი) 1:3 (0:4).**

თბილისი. „შევარდენის" სტადიონი. 23 აგვისტო.

„შევარდენი-1906": გვენცაძე, ელიაშვილი, სამხარაძე, ჩადუნელი, ძნელაძე (ობოლაძე), კაკილაშვილი, შალამბერიძე, კოპალეიშვილი, ყიფიანი, ქობელაშვილი, ტარტარაშვილი (ყულიაშვილი).

„გურია": ქანთარია, მიქაბერიძე (კვინტრაძე), კაბისაშვილი, დანელია (გუჯაბიძე), მაყეიკისი, ცომაია, ჩხაიძე (ბარათაშვილი), ფრიდრიკასი, კორღალიძე, ფრიდონაშვილი, უგრელიძე.

მსაჯები: მ. კობიაშვილი (დუშეთი), ა. შილაკაძე, ნ. კილაძე (ორივე — თბილისი).

**მატჩი** „გურიის" იერიშებით დაიწყო — ჯერ ფრიდონაშვილის უძლიერესი დარტყმა მოიგერია მეკარე გვენცაძემ, შემდეგ ფრიდრიკასის, უგრელიძის, ცომაიას და დანელიას შეტევებს „აუღო ალღო" თბილისელთა გოლკიპერმა. მასპინძლებმაც განახორციელეს ორიოდე კონტრიერიში, მაგრამ უშედეგოდ.

პირველი ბურთი თამაშის 36-ე წუთზე გავიდა — კორღალიძის პასი შესანიშნავად გამოიყენა ფრიდრიკასმა და თავით გაგზავნა ბურთი კარში — 1:0. ამის შემდეგ ცხრა წუთში სტუმრებმა კიდევ სამი გოლის გატანა შეძლეს: ჯერ მიქაბერიძე-უგრელიძე-კორღალიძის მრავალსვლიანი კომბინაცია დასრულდა ამ უკანასკნელის მიერ მასპინძელთა კარში გატანილი ბურთით, მე-40 წუთზე უგრელიძემ, რომელმაც ამ მატჩში ჰეთ-თრიკი შეასრულა, თავისი პირველი ბურთი გაიტანა — 3:0; ტაიმის დასასრულამდე ორი წუთით ადრე კი ფრიდრიკასმა ოთხამდე გაზარდა ანგარიში. პირველი ნახევრის მიწურულს ქობელაშვილს ჰქონდა კარის აღების რეალური შესაძლებლობა, მაგრამ კაბისაშვილმა, რომელიც პერსონალურად მეურვეობდა მას, უვნებელყო შეტევა.

მეორე ტაიმის პირველივე წუთზე უგრელიძემ მეხუთე ბურთი გაიტანა. ამ გოლს ცოტა ხანში კვლავ ქობელაშვილის კონტრშეტევა მოჰყვა, მაგრამ ქანთარიამ იმარჯვა. 61-ე წუთზე კი შორი მანძილიდან ძლიერი დარტყმით ფრიდონაშვილმა ულამაზესი ბურთი გაიტანა მეკარისგან მარჯვენა, მაღალ კუთხეში. ორიოდე წუთში უგრელიძემ თამაშში მეშვიდედ, ხოლო პირადი ანგარიშით მესამედ აიღო თბილისელთა კარი.

„მშრალად" დამარცხებისგან თბილისელები ისევ ქობელაშვილმა იხსნა, რომელმაც 66-ე წუთზე შეძლო ქანთარიას კარში ბურთის გატანა.

შეხვედრის შედეგს კი წერტილი კორღალიძემ დაუსვა, რომელმაც კარგად გამოიყენა ბარათაშვილის გადაცემა და ბურთი ზუსტად გაგზავნა თბილისელთა კარში.

**ინგა ჩახვაშვილი**

XXII ტურის სხვა მატჩები: „ოდიში" (ზუგდიდი) — „ბათუმი" (ბათუმი) 2:1, „ლიახვი" (ცხინვალი) — „მზიური" (გალი) 0:4, „ივერია" (ხაშური) — „დილა" (გორი) 2:1.

გუშინ გაიმართა ამავე ტურის ოთხი მატჩი:

**„ცხუმი" (სოხუმი) — „მერცხალი" (ოზურგეთი) 2:1**
**„კოლხეთი" (ხობი) — „სანავარდო" (სამტრედია) 0:0**
**„ამირანი" (ოჩამჩირე) — „იბერია" (თბილისი) 0:2**
**„გორდა" (რუსთავი) — „კოლხეთი-1913" (ფოთი) 1:0**



„შევარდენი-1906" — „გურია"  ა. კოპლამაზაშვილის ფოტო.

# რომაული არდადეგები

**ყველაფერი** დამთავრდა. დამთავრდა სამართლიანად. ძლიერი უფრო სწორად, უძლიერესი გუნდის ნაკრები, ჩემპიონი და მსოფლიო თასის მფლობელი გახდა, მაგრამ რატომღაც უკმაყოფილების გრძნობა, ერთგვარი დარდი მაინც დამეუფლა. იმიტომ კი არა, რომ რაღაც მეტს ველოდი. არც ბოლო, ყოვლად უაზრო პენალტშია საქმე, უბრალოდ, როცა თავად პირველად გიხდება ისეთ გრანდიოზულ ღონისძიებაში ჩაბმა, როგორიც მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატია, ირკვევა, რომ ჰაბუკურ რომანტიზმს უნდა დაემშვიდობო. „ლიტერ „პ" — პრესა — სააკრედიტაციო ბარათის მიღებისთანავე საბოლოო ბოდიში უნდა მოუხადო ყოველგვარ ბუნებრივს, გულუბრყვილობას, ფეხბურთის გულწრფელად და უდარდელად აღქმას. ეს კი, სხვა თუ არაფერი, დასანანია.

შედიხარ პრეს-ცენტრში და მომხიბლავი გოგოები (ღმერთო ჩემო, სად იპოვეს მაინც) მოგართმევენ „მარსის" კანფეტს, რომელსაც ექვს სხვადასხვაგვარ კოკა-კოლას დააყოლებ. კომპიუტერი, ფაქსი, ტელექსი, დედამიწის ნებისმიერ წერტილთან დაუყოვნებელი კავშირი — ყველაფერი ეს შენს განკარგულებაშია. სტადიონის ტრიბუნებზე ჟურნალისტების ადგილები აღჭურვილია ტელეფონით, ტელევიზორით, მაგიდის ნათურით. ყველა მთელი სერიოზულობით, უემოციოდ აკეთებს თავის საქმეს. როცა გულშემატკივართა ყიჟინის „ტალღა" გადაუვლის მთელ სტადიონს, იგი პრესის ლოჟაში ვერ აღწევს, აქ უმწეოდ წყდება და მისი „შხეფებიც" კი არ ეხება ჟურნალისტებს.

მათთან ერთად რატომღაც მეც მპატიჟებენ მიღებებზე. მთავაზობენ პეპსი-კოლას „მარსით", მეც ჰკვიანურ გამომეტყველებას ვიღებ და იმის ნაცვლად, რომ წამოვხტე და რაღაც წამოვიძახო, ადგილზე ვზივარ და ტელეფონის ღილაკებს ვაჭერ თითს. დაე ასე იყოს, მეც ამ წერტილიდან შევხედავ თამაშს, ტრიბუნიდან, სადაც დღეს, ჩემპიონატის ამ ხანმოკლე გაელვებისას, ფეხბურთის მცოდნენი, ფეხბურთში გარკვეულნი და კიდევ სხვები, ამ ხალხს მიკედლებულნი სხედან.

ჩემპიონატი იმით იყო კარგი, რომ დროდადრო, სენსაციურობისა და ამოუცნობადობის მიუხედავად, იგი მაინც სწორი კურსით მიდიოდა და ცნობილი გუნდებისაკენ იღებდა გეზს. სხვებს კი იქ უკვე აღარაფერი ე[...] ქმებოდათ. და თითქოს თვით [...] გებამ შეახვედრა ერთმანეთს ნა[...] ვერფინალში იტალიისა და არგ[...] ტინის ნაკრებები. თანაც ნეაპო[...] ში, მარადონას ქალაქში. მატჩი ს[...] ბოლური გამოდგა. არგენტინას, რ[...] მელმაც დიდი წვალებით მიაღ[...] ნახევარფინალამდე, მსოფლიო ჩ[...] პიონის უფლებამოსილება უნ[...] დაეთმო თვითდაჯერებული და მ[...] ფლიო თასისკენ მიმსწრაფი იტა[...] ელებისათვის. მარადონასათვის ს[...] რედ აქ, მის თაყვანისმცემელ [...] ლაქში უნდა „აეყარათ იარაღი".

მაგრამ ეს არ მოხდა. ფეხბურთმ[...] კვლავ ყველაფერი სხვაგვარად გააკეთა. მან დასაჯა მასპინძელთ[...] ეს თვითდაჯერება. და კიდევ ერთ[...] ხელ დაამტკიცა, რომ იგი მხოლ[...] იმათი მსახურია, ვინც მას სწირა[...] ყველაფერს. ერთგვარად შებორკ[...] ლმა იტალიელებმა ულიმღამოდ და[...] რტყეს პენალტები და გამოეთხო[...] ვნენ პატივმოყვარე ოცნებას. მს[...] ჯი, რამდენსაც არ ეცადა, მაინ[...] ვერაფრით დაეხმარა მათ.

დიახ მსაჯი... ამ მატჩზე არგენტი[...] ნელი ჟურნალისტის გვერდით ვ[...] ჯექი, იგი მთლად გაფითრებულ[...] იყო, მიდიოდა დამატებითი დრო[...] იტალიელები განაგრძობდნენ და[...] წოლას, მაგრამ ბურთი არა და არ გა[...] დიოდა არგენტინელთა კარში.

ჩემმა აღელვებულმა მეზობელმა ტელევიზორის ეკრანის კუთხეზე მიმანიშნა, იქ დამატებითი დროის პირველი ტაიმის 23-ე წუთი იყო აღნიშნული. მსაჯმა უკვე მერვე წუთი დაამატა. არგენტინელი ლანძღავ[...] და მსაჯს, რომელიც აშკარად ეხმარებოდა იტალიელებს, რათა გაეტანათ გოლი და მატჩის შემდგომი პენალტების სერიამდე არ მისულიყო საქმე. ეს ჩემპიონატის 49-[...] თამაში იყო და არც მე და არც ჩემ[...] მეზობელს აღარაფერი გვიკვირდა. არგენტინელი ჟურნალისტი განაგრძობდა ოხვრას, მე კი ვაკვირდებოდი წამმზომს და მინდოდა გამეგო, როდისღა შეაწუხებდა მსაჯს სინდისის ქენჯნა. სინდისმა იგი თერთმეტი წუთით გვიან შეაწუხა.

საერთოდ, ეს ჩემპიონატი მოთამაშეებს, მწვრთნელებსა და გულშემატკივრებს დაამახსოვრდათ უცნაური მსაჯობით. რას არ სჩადიოდნენ მსაჯები, რა გოლებს არ თვლიდნენ, რა პენალტებს ნიშნავდნენ — ეს ცალ[...]

**ის. მე-4 გვ.**

ის. მე-4 გვ.

# ებრძვიან დიქტატს

**გაზეთებში** უკვე გამოქვეყნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარული მატჩის ჩასატარებლად მინსკის „დინამოსთან" 21 აგვისტოს არ ჩავიდა მოსკოვის „სპარტაკი". სპარტაკელებმა საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრათა ჩასატარებლად იტალიასა და ესპანეთში გამგზავრება არჩიეს. ამასთან დაკავშირებით ბელორუსიის ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა მტკიცე პროტესტი გამოთქვა და საკავშირო ფედერაციას შეატყობინა, რომ თუ მსგავსი დისკრიმინაციული ფაქტი კვლავაც განმეორდება, ბელორუსიის გუნდები პროტესტის ნიშნად გამოვლენ ოსტატთა გუნდების საკავშირო შეჯიბრებებიდან.

ამ ოფიციალური პროტესტის გარდა ბელორუსიის საფეხბურთო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა თავიანთი პირადი, კონკრეტული შეხედულებანიც გამოთქვეს. კერძოდ, მინსკის „დინამოს" საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტმა ლეონიდ გარაიმ თქვა:

— აჩქარება წესად არა გვაქვს, ვცდილობთ მუდამ დინჯად, მოფიქრებულად ვიმოქმედოთ ასეთ შემთხვევებში. ამჯერად ცხადია, რომ საკავშირო ფედერაციამ არაფ ჩაგვაგდო, მაგრამ არც ვჩქარობთ და არც ულტიმატუმებს ვაყენებთ. თუმცა ყოველგვარ მოთმინებას ხომ საზღვარი აქვს! თვითონ განსაჯეთ: მინსკში დიდი ხანია აფიშებია გამოკრული, გაიყიდა თამაშზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები, სტუმრებისთვისაც შევუკვეთეთ ნომრები სასტუმროში, უკან დასაბრუნებელი ბილეთებიც და, აი, მოულოდნელად, 17 აგვისტოს, თამაშამდე სულ 4 დღით ადრე, მივიღეთ დეპეშა საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარის ვიაჩესლავ კოლოსკოვისგან იმის თაობაზე, რომ თამაში არ შედგება, თანაც, დეპეშა მოვიდა მინსკში, ჩვენ კი ამ დროს ერევანში ვთამაშობდით „არარატთან". ეს სწორედ ის კოლოსკოვია, რომელმაც თავის ერთ-ერთ ინტერვიუში კატეგორიულად განაცხადა: „წესდებაში შავით თეთრზე წერია — სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის მიერ დამტკიცებულ ოფიციალურ კალენდარში ყოველგვარი ცვლილება კატეგორიულად აკრძალულია".

— ჯერ კიდევ მაისში, როცა დამტკიცებული არ იყო მეორე წრის კალენდარი, მინსკის „დინამო" აგვისტოში ჰოლანდიასა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში მიიწვიეს, — განაცხადა მინსკის „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა ედუარდ მალოფეევმა. — ფეხბურთელებს, რა თქმა უნდა, სურდათ უცხოეთში გამგზავრება, მაგრამ კოლექტივის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ გუნდი შინ დარჩენილიყო და საკავშირო ჩემპიონატის მატჩები ეთამაშა. რა თვალით უნდა შევხედოთ ახლა ფეხბურთელებს? მალე წელიწადი გავა, რაც „სპარტაკმა" 50 ათასი მანეთი უნდა გადმოგვირიცხოს ჩვენგან შეძენილი ფეხბურთელის ანდრეი ტიმოშენკოს საფასურად, მაგრამ ეს თანხა ჯერაც არ ჩანს და საკავშირო ფედერაციაც ჩუმად არის. ყველაფერი ეს ძალზე არასასიამოვნოა და საწყენია. თუ მომავალშიც ასე გაგრძელდა, ჩვენ იძულებულნი ვიქნებით საკავშირო ჩემპიონატის კარი გამოვიჯახუნოთ.

## I ლიგა

**„დინამო" (სოხუმი) — „შინიკი" (იაროსლავლი) 0:3 (0:1)**

სოხუმი. ცენტრალური სტადიონი. 13 აგვისტო.

„დინამო": ოვჩინიკოვი, დობაშინი, ჩეკუნოვი, ხ. თარბა, თ. ლოგუა, ენიკი, საბიტოვი (არუთუნიანი), ახვლედიანი, სმირნოვი (ტუნკინი), შეპტიცკი (კვარაცხელია), ნოხკოვი.

„შინიკი": გრანატოვი, ზავადსკი, მაკაროვი, ნიკიტინი, მოროზოვი, ბოდროვი (კოლესნიკოვი), პომაზოვი, ბილიალეტდინოვი, კაზმინი, ზემლინი (მარტიანოვი), მოისეევი (ო. სმირნოვი).
მსაჯი: ბ. სავოჩკინი (ტაშკენტი).
გააფრთხილეს: ა. ზავადსკი („შინიკი").
გოლები: ი. მაკაროვი (პენალტით), ი. კაზმინი, ი. მოისეევი.

## ფეხბურთის ახალი ამბები

**მოსკოვის** „სპარტაკის" ფეხბურთელებმა 21 აგვისტოს გააცდინეს საკავშირო ჩემპიონატის კალენდარული შეხვედრა მინსკის „დინამოსთან". გუნდი ესპანეთს გაემგზავრა, სადაც ბარსელონის საერთაშორისო ტურნირში შეხვდა ჰოლანდიის „ეინდჰოვენს". ეს მატჩი დამთავრდა „ეინდჰოვენის" გამარჯვებით — 2:1.

**მოსკოვის** არმიელთა გუნდმა მონაწილეობა მიიღო ესპანეთის კუნძულ პალმა-დე-მალიორკას საერთაშორისო ტურნირში. გათამაშების პირველ დღეს ადგილობრივმა კლუბმა ანგარიშით 3:2 დაამარცხა პოლონეთის „ლეგია", ხოლო ცსკა-მ წააგო მადრიდის „რეალთან" — 2:4.

ფინალში „რეალმა" მოუგო მასპინძელთა კლუბს — 1:0, ხოლო ცსკა-მ, რომელმაც ანგარიშით 2:0 დაამარცხა „ლეგია", დაიკავა მესამე ადგილი.

**დუბლინი.** აქ შედგა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების პირველი მატჩი ირლანდიის „ბრეი უონდერერსსა" და თურქეთის „ტრაბზონსპორს" შორის თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1. ეს გუნდები ერთმანეთს კვლავ შეხვდებიან თურქეთში, ორ მატჩში გამარჯვებულის მეტოქე იქნება ესპანეთის „ბარსელონა".

**სტავანგერი.** შვეციის ეროვნულმა ნაკრებმა, რომელსაც ახლა ტომი სვენსონი ავარჯიშებს, ქ. სტავანგერში მიიღო ნორვეგიის ნაკრები და გაიმარჯვა ანგარიშით 2:1. დაწინაურდნენ სტუმრები, ბურთი 11-მეტრიანით გაიტანა ალსენმა, შემდეგ ინგკვისტმა გაათანაბრა ანგარიში, ხოლო გუნდის დებიუტანტმა ფელსტრემმა 75-ე წუთზე გადამწყვეტი გოლი გაიტანა.

ნორვეგიელთათვის ეს იყო გენერალური რეპეტიცია ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის წინ სსრ კავშირის ნაკრებთან, რომელიც 12 სექტემბერს გაიმართება მოსკოვში.

## ო. პროტასოვს ნება დართეს

**28 აგვისტოს** კიევში შედგა უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის სხდომა, რომელმაც განიხილა რესპუბლიკის რეგიონალური საფეხბურთო ჩემპიონატის გამართვის საკითხი უმაღლესი და I ლიგის გუნდების მონაწილეობით. ფედერაციამ ერთსულოვანი გადაწყვეტილება ვერ მიიღო, საკითხს ხელახლა განიხილავენ მოგვიანებით.

იმსჯელეს, აგრეთვე, კიევის „დინამოსა" და სსრ კავშირის ნაკრების ფეხბურთელის ოლეგ პროტასოვის საბერძნეთის კლუბ „ოლიმპიაკოსში" გადასვლის თაობაზე. უმრავლესობამ (17 ხმა ორის წინააღმდეგ) ო. პროტასოვს უცხოეთის გუნდში გადასვლის ნება დართო, საბოლოო გადაწყვეტილება კი საკავშირო ფედერაციამ უნდა გამოიტანოს.

# რომაული არდადეგები

(დასასრული)

საუბრის თემაა. თითქოს ისინი სხვა მსოფლიო ჩემპიონატს ატარებდნენ ფეხბურთში თავიანთი წესებით, რომლის თანახმადაც შეიძლება მეკარის გარდა სხვა მოთამაშემაც ხელით შეაჩეროს კარში მიმავალი ბურთი, თამაშგარე მდგომარეობიდან გაიტანონ გოლი, მინდვრიდან გააძევონ სრულიად უდანაშაულო მოთამაშე, დაინიშნოს პენალტი საჯარიმო მოედნის გარეთ წესის დარღვევისათვის და ა. შ. ისინი ყოვლად მოურიდებლად ხელს უწყობდნენ ჩემპიონატის მასპინძლებს, იტალიელებს, რომლებიც ისედაც მივიდოდნენ ნახევარფინალამდე. ყველაზე მეტად ეს გამოცა ფიფა-ს პრეზიდენტმა ჟ. ავალანჟმა. თითქოს არაფერიაო, ამტკიცებდა, რომ მსაჯობა კარგია და საერთოდ, ჩემპიონატი და მასთან ერთად იტალიელებიც შესანიშნავები არიანო: მას კვერს უკრავდა ფიფა-ს მეორე ხელმძღვანელი პირი ი. ბლატერი. და რაც უფრო მატულობდა მსაჯთა შეცდომები, ფიფა-ს ოფიციალურ პირთა ტონი მით უფრო მეტ ოპტიმიზმს იძენდა.

მსაჯთა ეს ფანტასმაგორია დააგვირგვინა მექსიკელმა არბიტრმა კოდესალმა, რომელიც გფრ-არგენტინის მატჩს სჯიდა. გასაგებია, მას ძალიან სურდა, სამართალს პური ეჭამა, ისიც მესმის, არც ის უნდოდა, მსოფლიო ჩემპიონი დამატებითი თერთმეტმეტრიანებით გამოვლენილიყო, მაგრამ გულშემატკივართათვის ამ სასურველმა მსაჯმა სრულიად გააფუჭა ფინალური შეხვედრა. არგენტინელთა კარში დანიშნული პენალტის ეპიზოდს მატჩის შემდეგ ზედიზედ იმეორებდა ტელევიზია სხვადასხვა წერტილიდან, შენელებული კადრებით. აშკარად ვხედავდი, რომ წესი არ დარღვეულა, მცველმა „სუფთად“ ითამაშა. დაახლოებით ამასვე იმეორებდნენ სპეციალისტები ტელევიზორის ეკრანიდან და ჟურნალისტთა უმრავლესობა პრესცენტრში. რომელიღაც გერმანული გაზეთის თანამშრომელი კი მარწმუნებდა, რომ ჯარიმა მაინც იყო, მაგრამ საქმე ის ხომ არ არის, პენალტი იყო თუ არა... უბრალოდ, თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე ასეთი საჭოჭმანო პენალტი არ უნდა დანიშნულიყო. რომ ყოფილიყო უხეში, ასპროცენტიანი დარღვევა, რომელიც არავის დააეჭვებდა, სხვა საქმეა. კატეგორიულად ვიმეორებ, არ შეიძლება საკამათო ჯარიმის დანიშვნა, განსაკუთრებით თამაშის ბოლო წუთებში. ეს ხელშეუხებელი სასამართლო კანონია და დღესაც ვერ გამიგია, რატომ დაირღვა იგი, ვის სჭირდებოდა ასეთი გამარჯვება — ვფიქრობ, ეს სამუდამო საიდუმლოდ დარჩება.

ავალანჟმა კი მეორე დღეს ისევ მხნედ წარმოთქვა ოპტიმისტური სიტყვა მსაჯობისა და შეჯიბრების ორგანიზატორ იტალიელთა შესახებ და ასეთივე წარმატება უსურვა აშშ-ის მსოფლიოს ჩემპიონატს.

საერთოდ, ფიფა-ს საქმიანობა, ეტყობა, განსაკუთრებული თემაა. მეტი რომ არა ვთქვა, არაადეკვატური აღქმა, უგერგილობა, კარჩაკეტილობა, მეტისმეტი სიცივე და თავდაჭერილობა, ნაცნობი ბიუროკრატიზმი, რომელსაც კაპიტალიზმის ელფერი დაჰკრავს, — ეს ყველაფერი მხოლოდ ზერელე შთაბეჭდილებაა. ასე მგონია, იქ შიგნით, ფიფა-ს უფრო სერიოზული დაავადებები ღრღნის. თუმცა ავადმყოფი ამის აღიარებას როდი აპირებს. ამ საკმაოდ გავლენიანი საერთაშორისო სპორტული ფედერაციის ფუნქციონერები მონაწილეობენ ბანკეტებში, აწყობენ მიღებებს, თავად ესწრებიან მათ, ცხოვრობენ ბრწყინვალე ოტელებში (აქვე ვიტყვი, რომ მიღებების, ბანკეტებისა და შესანიშნავი სასტუმროების წინააღმდეგი არა ვარ), მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ავიწყდებათ, რომ მათ საქმიანობაში მთავარი ფეხბურთია. გამოაქვთ სანქციები ფეხბურთელების, მწვრთნელების, ზოგჯერ სტადიონებისა და ქვეყნების მიმართ, გულმოწყალენი და შემწყნარებლებიც არიან. ჩემპიონატებიდან მათ მრავალი მილიონი მოგება აქვთ. და ის, რომ ფიფა-ს გადაწყვეტილებით მსოფლიო თასის შემდეგ გათამაშებას არასაფეხბურთო ქვეყანამ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა უმასპინძლოს, არავის გაჰკვირვებია, ფიფა ყველაზე მეტ თანხას იქ მიიღებს. და ბოლოს, ისე, სხვათა შორის, სწორედ ამ ბიჭებმა, ფიფა-ს ფუნქციონერებმა დააჯილდოვეს ხელმოცარული მარატ გრამოვი, ახლა უკვე ქვეყნის ყოფილი სპორტის მინისტრი ფიფა-ს ყველაზე საპატიო ჯილდოთი. დააჯილდოვეს სწორედ ის, ვინც ჩვენმა პარლამენტმა სპორტსახკომის თავმჯდომარის პოსტზე არ დატოვა. რისთვის დააჯილდოვეს, რომელი გამოჩენილი ორგანიზატორი ის არის?.. ესეც ფიფა-ს პატარა საიდუმლოებაა.

სხვათა შორის, კარგად მესმის, რომ ამდენი დროის გასვლის შემდეგ დაბეჭდო და მაშასადამე წაიკითხო კიდეც შენიშვნები მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ, უცნაურია და ალბათ ბრიყვობაცაა. ამდენად, არ მესწავლება, რომ ილუსტრირებული ყოველკვირეული ჟურნალი ვალდებულია ასეთი მოვლენიდან დიდი-დიდი ორი-სამი დღის დაგვიანებით, აქვეყნებდეს მასალებს. მაგრამ ჩვენი შესაძლებლობანი და პოლიგრაფიული ციკლი მხოლოდ ორი კვირის შემდეგ იძლევა საშუალებას, იტალიის სუნთქვამ თქვენამდე მოაღწიოს.

მთელი მსოფლიოს პრესა კი სულ სხვაგვარად მუშაობს. უკვე ვთქვი, რომ სტადიონებზე ჟურნალისტების ადგილები აღჭურვილი იყო ტელეფონებით. მაგრამ იმისთვის კი არა, რომ პირდაპირ თამაშიდან გულშემატკივართა ხმაურში ყურმილში ჩასძახოდეთ თამაშის მსვლელობას, რაც ვეჭვობ, ტელეფონის მეორე მხარემდე — სტენოგრაფისტამდე აღწევდეს (თუმცა, თუ მოინდომებ, ესეც შეიძლება). ყველა ჩემი მეზობელი მატჩის მსვლელობისას კომპიუტერებზე წერდა ტექსტებს და შეხვენებაზე კრეფდა რედაქციის ტელეფონების ნომრებს, მოდემას სპეციალური მოწყობილობით და ასევე ელექტრონის ხელსაწყოთი გზავნიდა აწყობილ ტექსტს. არავითარი მბეჭდავი-მემანქანე, არავითარი ასოთამწყობი. თამაში (დამატებითი დროით) ღამის თერთმეტი საათისთვის მთავრდებოდა და პირველ საათზე ღამის კაფეში შეიძენდით გაზეთს იმ წუთს დამთავრებული მატჩის ამსახველი მასალებით. ასეთი ოპერატიულობა ჩვენთვის წარმოუდგენელია, მაგრამ ეს ასეა, ასეთი ტემპით ცხოვრობს თანამედროვე პრესა. ჩვენ კი — ისტორიამდელ დროში ვართ. გულისტკივილით ვუყურებ ჩვენს ჟურნალისტებს. მაგრამ, სხვათა შორის, რომ გადაწყვიტოთ კიდეც კავშირის დამყარება ამ საშუალებით, მაგალითად, ფაქსით, ეს კიდევ არაფერს ნიშნავს. რედაქციაში ბარათი გავგზავნე. რვა საათის განმავლობაში წვალობდნენ საბრალო იტალიელი ოპერატორები, ცდილობდნენ მოსკოვთან შეერთებას, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ — კავშირი ვერ დაამყარეს. თანამედროვე კომუნიკაციების საშუალებებით სარგებლობისათვის მზად არა ვართ. რა თქმა უნდა, გაზეთ „პრავდის“ ჯიბრზე შემეძლო იტალიაში წამეღო პერსონალური კომპიუტერი, თამაშის დროს ჩამერაკრაკებინა სტატია, თითო ტელეფონის ღილაკზე დამეჭირა და... მერე რა, არაფერიც არ მოხდებოდა. ჩემი ყველა მეზობელი — ავსტრიელი, ამერიკელი, არგენტინელი, იაპონელი, სამხრეთკორეელი და კიდევ ასობით ქვეყნის კორესპონდენტები წამში უკავშირდებიან თავიანთ რედაქციებს, მე კი დილამდე ვაჭერ და ვაჭერ თითს ღილაკებს...

მსგავსი რამ სეულის ოლიმპიური თამაშების შემდეგაც დავწერე. გავიდა ორი წელი, მაგრამ აბსოლუტურად არაფერი შეცვლილა, ჩვენთან ვგულისხმობ. იმათთან კი ბევრი სიახლეა. კომპიუტერები უფრო დაპატარავდა, ფოტოკორესპონდენტებს კი ახლა დააქვთ პატარა ჩემოდნები, რომლებსაც ტელეფონს მიუერთებენ, ჰრილში დებენ ფოტოს და რამდენიმე წამში სურათი რედაქციაშია. ორი წლის წინათ ეს ჩემოდნები არ შემხვედრია. საინტერესოა, ორი წლის შემდეგ ბარსელონის ოლიმპიადაზე რა ექნებათ?

ბევრისთვის პირველი მოულოდნელობა, სენსაციაც კი ჩვენი ნაკრების სუსტი გამოსვლა იყო. თუმცა, ჩემი აზრით, ჩვენი გულშემატკივრებისთვის მოულოდნელი აქ არაფერია. გულახდილად ვამბობ, როცა კამერუნს 4:0 ვუგებდით და თეორიულად მერვედფინალშიც შეგვეძლო გასვლა, შემეშინდა, ვაითუ მართლა გავიდეთ-მეთქი. მესმის, რომ ეს არაპატრიოტულად ჟღერს, მაგრამ იმ ნაწვალები ფეხბურთის ყურება, ჩვენები რომ თამაშობდნენ, და კიდევ მათი გულშემატკივრობა, ყოველგვარ ძალას აღემატებოდა.

ვ. ლობანოვსკის მისამართით არაფრის თქმა არ მინდა: არც ცუდისა და, ბუნებრივია, არც კარგისა. ერთი რამ კი ვერ გამიგია: ახლა მაინც რატომ არ უნდა აღიაროს, რომ მისი გუნდი სრულიად არ შეეფერებოდა იმ ფეხბურთს და იმ თამაშს, რომელსაც პრაქტიკულად ჩემპიონატის ყველა მონაწილე აჩვენებდა.

თითქოს სპეციალური სათვალე მოირგო და სსრ კავშირის ნაკრების თამაშს სულ სხვა თვალით უყურებდა. არადა, ახლა ხომ შეიძლება ჩართო ვიდეოკასეტა ჩვენი ნაკრების თამაშების ჩანაწერით და ეკრანზე გამოჩნდებიან ზანტი, უაზროდ მოქმედი ფეხბურთელები. გასაგებია, რომ იქ, იტალიაში მწვრთნელი თავს იცავდა კრიტიკისაგან და არ უნდოდა იმის აღიარება, რაც ნათელი იყო, მაგრამ ახლა, როცა საკმარისი დრო გავიდა, განა შეიძლება განაცხადო, რომ ჩვენი გუნდი ფინალში თამაშის ღირსი იყო?!

ყოველთვის, როცა მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი მთავრდებოდა და ჩვენ კვლავ გვიხდებოდა ჩემოდნების ჩალაგება იმ სტადიონების მისადგომებთან, სადაც მთავარი მოქმედება უნდა გათამაშებულიყო, ვერაფრით ვერ გამეგო, რატომ არ შეგვეძლო გამარჯვება. ასეთ დიდ ქვეყანაში რატომ ვერ ვკრებთ თერთმეტ ფეხბურთელს?.. შემდეგ კი, როცა წამოვიზარდე, სულ სხვაგვარად დავიწყე მსჯელობა.

როცა გვინდოდა, ვიმარჯვებდით კიდეც. დიადი სოციალისტური სახელმწიფო მთელს მსოფლიოს სპორტის მეოხებით აჩვენებდა თავისი სისტემის უპირატესობას. თუ ეს საჭირო იყო, ვიმარჯვებდით ნებისმიერ სახეობაში: აკრობატიკაში, კალათბურთში, ფრენბურთში, ხელბურთში, ტანვარჯიშში და ასე შემდეგ, ანბანის მიხედვით, დახედეთ „სპორტლოტოს“... სპორტის იმ სახეობებშიც კი, რომლებიც ურთულეს ტექნიკურ აღჭურვილობას მოითხოვს — ბობსლეიში, იმავე ჰოკეიში ან ფიგურულ ციგურაობაში — საციგურაოები არ გვყოფნიდა და მაინც აქ პირველები ვიყავით! პარტიამ თქვა — საჭიროა! არის! — უპასუხა კომკავშირმა. და, ყველას გასაკვირად მხოლოდ ფეხბურთი არ დაემორჩილა ამ იდეოლოგიურ ძალდატანებას.

ვაგებდით რაკეტებს, ვხერგავდით ენისეის, პირველ ადგილებს ვიკავებდით არაოფიციალურ ოლიმპიურ გუნდურ ჩათვლებში, ფეხბურთი შეიძლება გაგიჟებით ჰყვარებოდა ლეონიდ ილიას ძეს, მასთან ერთად — მთელ პოლიტბიუროს, მაგრამ მრგვალი ბურთი ჯიუტად არ ემორჩილებოდა პროლეტარიატის დიქტატურას და ყოველთვის უკმაყოფილონი, დამარცხებულები ვბრუნდებოდით მსოფლიო ჩემპიონატიდან. და ის მეოთხე ადგილიც, ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატზე რომ გვერგო, დღემდე სიზმარივით გვახსოვს.

ვერც კომკავშირულმა კრებებმა, ვერც გასაიდუმლოებულმა წინასწარმა დაჯილდოებებმა მომავალი გამარჯვებებისათვის, ვერაფერი გვიშველა. ის, რაც შესანიშნავად „მუშაობდა“ სპორტის ნებისმიერ სახეობაში, ფეხბურთში უცებ კარგავდა ყოველგვარ აზრს. ჩვენი გუნდი, ერთობ შებოჭილი, ტლანქი, როგორღაც შეშინებული — იქცეოდა ისეთად, როგორიც სინამდვილეში იყო. კომუფლაჟი არ გამოგვდიოდა, და იმარჯვებდნენ სხვები. სოციალიზმის უპირატესობის დამტკიცება სპორტის სხვა სახეობებით გვიხდებოდა.

იმიტომ ვერ შევძელით გამარჯვება, რომ ფეხბურთში სულ სხვა ხალხი იმარჯვებს, ის, ვინც სხვანაირად ცხოვრობს, ადამიანურად, ვინც თავისუფლად და ლაღად სუნთქავს.

როგორ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, არ მჯერა საბჭოთა ფეხბურთის გამარჯვებისა არც 1994 და არც 1998 წლებში. ისევე, როგორც არ მჯერა მისი 2002 წელს. უნდა დაიბადოს სულ სხვა თაობა — მხიარული, ბუნებრივი, ლაღი და თავისუფალი. მხოლოდ ასეთ ხალხს შეუძლია მსოფლიოს აჩუქოს გამარჯვებულები. ამიტომ ჩვენი გამარჯვების მცირე იმედი ჩნდება 2010 წლისათვის. მინდა დავიჯერო, რომ ოცი წლის შემდეგ უფრო გახარებულნი ვიქნებით...

**ვალენტინ იუმაშევი**
**„ოგონიოკი“, № 30**

## „სპორტპროგნოზი“

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1990 წლის 33-ე ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 2.446.059 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (5) მოგება 7.338 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (332) — 221 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (5.363) — 47 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 115.398 ვარიანტი. 13—0, 12—14, 11—299.

33-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1990 წლის 8 სექტემბრიდან 8 ოქტომბრის ჩათვლით.

## „სპორტლოტო“

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1990 წლის 33-ე ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** ტირაჟში დაშვებულია 1.282.148 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (17) მოგება 2.955 მანეთია, ოთხისთვის (1.427) — 40, სამისთვის (28.332) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 27.454 ვარიანტი. 6—0, 5—1 (თბილისი), 4—53, 3—739.

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** ტირაჟში დაშვებულია 13.752.018 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (66) მოგება 6.251 მანეთია, ოთხისთვის (9.490) — 82, სამისთვის (217.998) — 4.

საქართველოში: დაშვებულია 349.590 ვარიანტი. 5—4 (ოთხივე — ახალციხე), 4—258, 3—5.211.

33-ე და 24-33-ე ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1990 წლის 8 სექტემბრიდან 8 ოქტომბრის ჩათვლით.

რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

### ვისაც ცხენის შეძენა სურს!

**თბილისის** სახელმწიფო იპოდრომი ცხენის მოყვარულებს შესაძენად სთავაზობს საცხენოსნო ტურიზმში და სპორტულ გამაჯანსაღებელ მუშაობაში გამოწვრთნილ სხვადასხვა ჯიშის ცხენებს. ცხენების შეძენა შეუძლიათ როგორც ორგანიზაცია-დაწესებულებებს, ასევე კერძო პირებს. შეძენა დაშვებულია როგორც ნაღდი ანგარიშსწორებით, ასევე გადარიცხვით.

ცნობებისათვის დარეკეთ: 39-10-52; 39-31-89.

**იპოდრომის დირექცია.**

საქართველოს სახალხო განათლების სამინისტრო, თბილისის სახალხო განათლების სამმართველო, მთაწმინდის რაიონის განათლების განყოფილება და ამავე რაიონის თავშვთა სპორტსკოლა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რაიონის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის დირექტორი

**თამაზ სერგოს ძე კოტორეიშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ოლიმპიური რეზერვის სასწავლებლის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ განყოფილების გამგეს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ფეხბურთში, თენგიზ ხვადაგიანს ძმის

**ანზორ იასონის ძე ხვადაგიანის**

გარდაცვალების გამო.

### ინფორმაცია

**ნიუ-ჯერსი.** აქ მიმდინარე ქალთა საერთაშორისო ტურნირის საპრიზო ფონდია 160 ათასი დოლარი. ასპარეზობა კარგად დაიწყო თბილისელმა ლეილა მესხმა. პირველ ტურში გამარჯვების შემდეგ მისი მეტოქე იყო გამოცდილი ჩეხოსლოვაკიელი ჩოგბურთელი ჰელენე სუკოვა. ბრძოლა გამოდგა უაღრესად მძაფრი, დაძაბული და დამთავრდა თბილისელი ჩოგბურთელის გამარჯვებით — 4:6, 7:5, 6:2.

## დაკარგული 100 ათასი დოლარი

**ლინცი** (ავსტრია). მძლეოსანთა ამ შეჯიბრებას, რომელიც დანიშნული იყო 22 აგვისტოსათვის, მოუთმენლად ელოდა მთელი სპორტული სამყარო. საქმე ისაა, რომ „გუგლის“ საერთაშორისო ტურნირზე, სპეციალისტების აზრით, უნდა დამხობილიყო მსოფლიოს რეკორდი 4X100 მეტრზე ესტაფეტაში. ვის შეეძლო სარეკორდო შედეგის ჩვენება? მხოლოდ სპორტკლუბ „სანტა-მონიკას“ გუნდს, რომელშიც გამოდიოდნენ კარლ ლუისი, ლეროი ბარელი და სხვა ცნობილი ამერიკელი სპრინტერები.

შეჯიბრების ორგანიზატორებმა მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესებისთვის საკმაოდ დიდი პრემია — 100 ათასი დოლარი — დააწესეს. ამ თანხის ნახევარს კალიფორნიელი სპრინტერები „დაზღვევის“ შედეგად მიიღებდნენ, მეორე ნახევარს კი — ჯილდოს სახით.

სამწუხაროდ, ამინდმა ხელი არ შეუწყო მოასპარეზეებს. ამ დღეს ლინცში საკმაოდ ციოდა და თანაც პირქარი უბერავდა. განსაკუთრებით ძნელი აღმოჩნდა მეორე ეტაპის დაძლევა, სადაც კეთილი ნების თამაშების ჩემპიონი ლეროი ბარელი ასპარეზობდა. კარლ ლუისი სხვებზე ადრე მივიდა ფინიშთან, მაგრამ ძველი მსოფლიო რეკორდი — 37,83 უცვლელი დარჩა. „სანტა-მონიკას“ კლუბის ოთხეულმა მხოლოდ წლევანდელი სეზონის საუკეთესო დრო აჩვენა — 38,23.

შეჯიბრების შემდეგ ლუისის მენეჯერმა ჯო დუგლასმა კორესპონდენტებს განუცხადა: „ძალზე საწყენია, რომ ამინდმა ხელი შეგვიშალა. კალიფორნიის სპრინტერთა ახლანდელი ოთხეული, ჩემი აზრით, უძლიერესია და მას შეუძლია რეკორდის დამხობა. ერთ ასეთ ცდას, ალბათ, გავიმეორებთ, თანაც შევეცდებით, ისეთი დრო ავირჩიოთ, რომ ამინდი ხელსაყრელი იყოს“.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ო. ნოზაძე, კორექტორები მ. ძეძამიძე და ც. ჩიტიშვილი.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისათვის — 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“.

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54,
„მერანი“ — 93-97-26, „მარჯვე“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი:** 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით სავაჭრო კორპუსში: [illegible], 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20